საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1405 2016 წლის 14 ივლისი ქ. თბილისი

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფონდებში რესურსების გაზრდის თაობაზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარით შემცირების ხარჯზე, გაზარდოს:

ა) საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარით;

ბ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებები 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ლარით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი